ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა: სოციალური მუშაობა
კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**სოციალური მუშაობა** **Social Work**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	**სოციალური მუშაობის დოქტორი** **PhD in Social Work**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	3-5 წელი (6-10 სემესტრი), 48 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე 26/12/2019 ოქმი N14 (გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება).
პროგრამის ხელმძღვანელები	**შორენა საძაგლიშვილი** - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის დირექტორი shorena_sadzaglishvili@iliauni.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

- პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ მუშაობაში ან ჯანდაცვასა და სოციალურ კეთილდღეობაში/სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში და არანაკლებ ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება სოციალური მუშაობის სფეროში;
- ზემოთ ჩამოთვლილ სფეროებში კანდიდატის მიერ შესრულებული წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და მის მიერ სამეცნიერო - კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმატებით ჩაბარებული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დადასტურების მიზნით, ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი **(TOEFL (P/B at least 513 points; I/BT at least 78 points); IELTS (at least 5.5 points); FCE),** ან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - **Certus,** ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი/დანართი ან ცნობა;*
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატი - Certus;
- სადოქტორო კვლევითი განაცხადი;
- ზეპირი გამოცდა.

* უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების პირობების, ვადების, წარსადგენი დოკუმენტების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურების და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge.

ინფორმაცია დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების შესახებ იხ. ქვემოთ, სადოქტორო პროგრამის დახასიათებაში/კონცეფციაში, ხოლო სადოქტორო კვლევის განხორციელებისთვის მხარდაჭერისა და წახალისების მექანიზმების შესახებ - სწავლისათვის აუცილებელ დამხმარე პირობებში/რესურსებში.

სადოქტორო პროგრამის კონცეფცია/დახასიათება

პროგრამის კვლევის სფეროს წარმოადგენს სოციალური მუშაობა, რომელიც მოიცავს ადამიანის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებას, მოწყვლად და ოპრესირებულ (დაჩაგრულ) ადამიანების გაძლიერებაზე აქცენტირებით.

სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია საზღვარგარეთის უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით (კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი) და ამერიკის სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამების სტანდარტების გათვალისწინებით (Quality Guidelines for PHD Programs in Social Work, Group for the Advancement of Doctoral Education in Social Work - GADE).

ასევე პროგრამა შემუშავებულია ფულბრაიტის კვლევითი გრანტის ID #68141013 „კვლევითი უნარების და ცოდნის განვითარება სოციალური მუშაობის სადოქტორო განათლების საშუალებით" ფარგლებში, რომელსაც მენტორობას უწევდა ნიუ იორკის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორ ვინსენტ რამოსი (Vincent, G. Ramos, Email: Vincent.Ramos@nyu.edu).

პროგრამა ეფუძნება სოციალური მუშაობის დარგში წარმატებულ საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც გულისხმობს უცხოელი პროფესორების ჩართულობას სადოქტორო პროგრამის განვითარებაში. საერთაშორისო ექსპერტები უზრუნველყოფენ:

- პროგრამაში ჩართული დოქტორანტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას;
- კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა ვორკშოფებით და სატრენინგო კურსებით;
- დოქტორანტების ხელშეწყობას სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის;
- სადოქტორო კურიკულუმის განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე საჭიროების შემთხვევაში გარე რეფერირებას;
- ქართველი მეცნიერების და დოქტორანტების ჩართვას მსოფლიო სამეცნიერო ქსელში.

პროგრამის საერთაშორისო კონსულტანტები არიან:

- ასოც. პროფ. ალიდა ბურის- ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციალური მომსახურებების ადმინისტრაციის სკოლა, ამერიკის შეერთებული შტატები (კვლევითი მიმართულება: სოციალური მუშაობა);
- პროფ. ჯეიმს დეკერი- კალიფორნიის უნივერსიტეტი, ნორთრიჯი; ამერიკის შეერთებული შტატები (კვლევითი მიმართულება: სოციალური მუშაობა);

ასისტენტ-პროფ. თინა-რუსუდან კილაბერია- მინესოტას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მანკატო, სოციალური მუშაობის დეპარტამენტი; ამერიკის შეერთებული შტატები (კვლევითი მიმართულება: გერონტოლოგიური სოციალური მუშობა).

პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ საერთაშორისო სადოქტორო სკოლასთან, იყენებს მის მიერ შექმნილ ყველა რესურსს, მათ შორის - დოქტორანტებს საშუალებას აძლევს, იყოლიონ უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი და მოიპოვონ ორმაგი ხარისხი კოტუტელის ფორმატის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევის პროფილები იხილეთ ბმულზე: https://shorturl.at/EpjR6

პროგრამის მიზნები

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს სოციალური მუშაობის მიმართულებით ახალი თაობის მკვლევრები, რომლებიც ინტეგრირდებიან აკადემიურ სივრცეში და შეძლებენ სოციალური მუშაობის დისციპლინის ჰოლისტური, სისტემური ხედვიდან გამომდინარე, საზოგადოების, სპეციფიკური ჯგუფების და ინდივიდების საჭიროებებზე მორგებული, უახლეს მეთოდოლოგიებზე დამყარებული კვლევების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნას და მის ადვოკატირებას. ასევე, სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის ან სოციალური მუშაობის ახალი პრაქტიკის და ცოდნის განვითარებას და ტრანსფერს საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სოციალური მუშაობის დარგში არსებული თეორიების, პრაქტიკის/პოლიტიკის და კვლევების შეჯერების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა ინოვაციური მეთოდებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების გზით;
- სოციალური მუშაობის კონტექსტში, სტიგმატიზირებულ და ძნელად ხელმისაწვდომ ჯგუფებთან მუშაობისას, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
- კვლევის შედეგების ასახვა საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში სოციალური მუშაობის სფეროში ცოდნის გაფართოების მიზნით;
- ცოდნის ტრანსფერი სააუდიტორიო სწავლების პროცესში;
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის საფუძველზე, კვლევის შემდგომი პროცესებისა და ახალი იდეების განვითარება.

სწავლების მეთოდები

- ლექცია და სემინარი;
- პრაქტიკული/საველე მუშაობა ;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი;
- ინდუქცია და დედუქცია;
- რეფლექსია;
- სუპერვიზია;
- დისკუსია;
- შემთხვევის ანალიზი (case study).

პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში/კონცეფციის დოკუმენტებში.

დასაქმების სფეროები

- სოციალურ პრობლემებზე, პოლიტიკის შექმნაზე მომუშავე კვლევითი ინსტიტუტები და სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ შემდეგ თემებზე: ბავშთა კეთილდღეობა, პრობაციისა და სასჯელაღსრულების სისტემები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, ხანდაზმულებზე ზრუნვა, წამალდამოკიდებულთა, ალკოჰოლიზმის და აივ/შიდსის პრევენცია და ინფიცირებულთა მომსახურებები და სხვა სფეროები.
- კერძო/დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტების შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
(FX) ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა- მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

„ა“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლება.
„ზ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადოქტორო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის, სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა);
- სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი;
- ადიქტოლოგიის ინსტიტუტი;
- დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
- ბავშვის განვითარების ინსტიტუტი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი;
- უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა;
- არგუსი, Moodle და Turnitin-ის სისტემები;
- საერთაშორისო სადოქტორო სკოლა;
- კვლევების კოორდინაციის სამსახური;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების შესაძლებლობა.

ასევე, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ფარგლებში მიღებული საერთაშორისო და ადგილობრივი დაფინანსებები კვლევითი პოტენციალის გასაძლიერებლად:

- **სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრი** - დაფინანსებული რუსთაველის ფუნდამენტური კვლევების გრანტით 2018-2020 წლები. (საგრანტო ხელშეკრულება #FR 17_31). კვლევის ფარგლებში ამერიკელი პროფესორი ალიდა ბურის, რეგულარულად ჩააატარებს სემინარებს და კონსულტაციას გაუწევს დოქტორანტურის სტუდენტებს. ეს ცენტრი არის თანამედროვე კვლევითი ცენტრი, რომელიც პირველი კვლევითი ცენტრია საქართველოში სოციალური მუშაობის მიმართულებით, რომელიც ახორციელებს ინოვაციურ ტრანსლაციურ კვლევას, აერთიანებს სხვადასხვა ინტერდისციპლინური მიმართულებების მკვლევრებს, მეცნიერებს, დოქტორანტებს, პრაქტიკოსებს და ბენეფიციარებს ქვეყნის სოციალური ცვლილებების მოსახდენად და ქვეყნის სოციალური კეთილდღეობის მისაღწევად. (https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/axali-ambebi-36/treningi-etikuri-sakitxebis-shesaxeb-proeqt-aiv-infeqciis-prevencia-quchastan-dakavshirebul-axalgazrdebtan-farglebshi.page)

  სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამა მხარდაჭერილია **ნორვეგიის მთავრობის მიერ დაფინანსებულ კვლევითი სასწავლო პროექტით**, რომლის ფარგლებში დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა განივითარონ კვლევასთან დაკავშირებული უნარები. **EURASIA PROJECT CPEA-ST-2018-2021** *"Building bridges – development of practice based higher education in social pedagogy in Armenia and Georgia, for social and cultural inclusion of persons with intellectual disabilities". ამ კვლევის ფარგლებში სადოქტორო პროგრამის სტუდენტები გაივლიან სპეციალურ მოსამზადებელ ტრენინგებს/კურსებს რუდოლფ შტაინერის უნივერსიტეტის და ოსლოს უნივერსიტეტის გაზაზე, რათა აიმაღლონ*

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კვლევის ჩასატარებლად საჭირო უნარ-ჩვევები. ასევე, განხორციელდება ერთობლივი აკადემიური სუპერვიზია.

- გარდა ამისა, სსიპ რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილ სამეცნიერო პროექტის „აივ ინფექციის პრევენცია ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებთან" ბაზაზე შექმნილია **მრჩეველთა საბჭო,** რომელშიც ჩართულნი არიან 20-მდე ადგილობრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაცია და აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევითი პროექტის განხორციელებაში. (https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/axali-ambebi-36/mrchevelta-sabchos-shexvedra-proeqt-aiv-infeqciis-prevencia-quchastan-dakavshirebul-axalgazrdebtan-farglebshi.page). დოქტორანტურის სტუდენტები, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევით პროექტში, კვლევის მონაცემების შეგროვების, ანალიზის და რეკომენდაციების შემუშავებისას აქტიურად ითანამშრომლებენ მრჩეველთა საბჭოსთან.

ეს ორგანიზაციებია: სოციალური მომსახურების სააგენტო; დანაშაულის პრევენციის ცენტრი; გაეროს ბავშვთა ფონდი; გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში; საერთაშორისო ფონდი - გადავარჩინოთ ბავშვები; საქველმოქმედო ფონდი კარიტასი; „ველდ ვიჟენ" საქართველო; საინფორმაციო-სამედიცინო ფსიქოლოგიური ცენტრი -„თანადგომა"; არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია"; არასამთავრობო ორგანიზაცია "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის"; არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო"; არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი"; „ბავშვებისა და ახალგაზრდების ეროვნული ცენტრი"; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი; სახალხო დამცველის აპარატი; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს საპატრიარქო.

პროგრამის სტრუქტურა

სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 48 კრედიტი, გამოაქვეყნოს 2 სტატია, რომელთაგან მინიმუმ ერთი, უნდა იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში (სტატიებთან დაკავშირებული მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში)და დაიცვას სადოქტორო ნაშრომი. პროგრამის სტრუქტურა მოცემულია ცხრილის სახით.

ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს სხვადასხვა ტრენინგს, რომელიც ადმინისტრირებულია პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაზე სწავლის პერიოდში, დოქტორანტებმა უნდა აირჩიონ მინიმუმ 2 ტრენინგი. დოქტორანტებს ტრენინგი გავლილად ჩაეთვლებათ, თუ ისინი დააკმაყოფილებენ არჩეული კომპონენტის ყველა მოთხოვნას.

კომპონენტები	სემესტრი										ECTS / კრედიტი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
სავალდებულო კურსები (30 კრედიტი)											
სადოქტორო კოლოკვიუმები											-
Writing for Academic Publication *											6
სოციალური მუშაობის თანამედროვე კვლევები და თეორიები											6
სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები											6
ასისტირება**											12
პროსპექტუსი											-
სადოქტორო ნაშრომი***											-
სავალდებულო-არჩევითი (6 კრედიტი)											

სტატისტიკური მოდელირება											6
თვისებრივი კვლევის მეთოდები											6
არჩევითი კურსები (12 კრედიტი)											
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი ან ასისტირება											12
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში											6
ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები											
კვლევითი კეთილსინდისიერება და ეთიკა											-
სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდები, სწავლებაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება											-
გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება											-
ტრენინგი: საპროექტო წინადადების მომზადება											-
სტუდენტთა აქტიურობის შეფასების პრინციპები და ინსტრუმენტები											-
აქტიური სწავლება ამობრუნებულ გაკვეთილზე											-
ორგანიზაციული მართვისა და ლიდერობის ტრენინგი											-
ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში											-
სწავლების ეფექტიანობის გაზრდა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით											-
სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური სხვა ტრენინგ კურსი											-
											სულ 48

** დოქტორანტს უნდა ჰქონდეს დაცული პროსპექტუსი და უნდა ჰქონდეს მზად საკუთარი კვლევის შედეგები.*

*** კვლევითი ასისტირებისას დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი; სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს კურსი „კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში“.*

**** სადოქტორო ნაშრომის წარდგენა დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულებისა და პუბლიკაციის ან პუბლიკაციაზე თანხმობის წარდგენის შემდეგ.*

შენიშვნა: ხელმძღვანელთან შეთანხმების შემთხვევაში, დოქტორანტს შეუძლია გაიაროს კურსები სამაგისტრო საფეხურიდან კრედიტების მინიჭების გარეშე.

სადოქტორო კოლოკვიუმების სერია იწყება სწავლების მეორე სემესტრიდან. მისი მიზანია, უზრუნველყოს დოქტორანტების კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია და შედეგზე ორიენტირებულობა, დოქტორანტისთვის მის პროგრესთან დაკავშირებით განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდების გზით. სადოქტორო კოლოკვიუმი ხელს უწყობს სტუდენტს, წარმართოს კვლევა კვლევის გეგმის მიხედვით, მოახდინოს პერიოდული რეფლექსია და ანგარიშგება კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და სხვა; მომიჯნავე დარგების დოქტორანტებთან ერთად ჩაერთოს სამეცნიერო დისკუსიაში; პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის, კვლევის ხელმძვანელისგან მიიღოს კონსტრუქციული უკუკავშირი კვლევის გაუმჯობესების მიზნით. კოლოკვიუმის

სესიებში, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულები არიან კვლევის შედეგებით (დეტალური ინფორმაცია კოლოკვიუმის შესახებ იხ. კოლოკვიუმის კონცეფციაში). დოქტორანტი კვლევის შედეგებს წარადგენს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

სადოქტორო პროგრამის პირველი წლის განმავლობაში დოქტორანტები ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად მუშაობენ პროსპექტუსზე. პროსპექტუსი მუშავდება სადოქტორო პროგრამაზე მიღებისას წარდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადის საფუძველზე.

პროსპექტუსის მომზადების განმავლობაში დოქტორანტები:

- განსაზღვრავენ საკვლევ საკითხს/პრობლემას სადისერტაციო კვლევისთვის;
- აკეთებენ რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც მოიცავს შერჩეული საკითხის/პრობლემის შესახებ კვლევებზე დაფუძნებული უახლესი ცოდნის, გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიების, მიდგომების და კონცეფციების ანალიზს/სინთეზს და შეფასებას;
- ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას და აყალიბებენ კვლევის მიზანს, საკვლევ კითხვას/ებს (საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზას) და კვლევის მეთოდოლოგიას;
- ადგენენ ბიბლიოგრაფიას და კვლევის გეგმას.

დასრულებულ პროსპექტუსს დოქტორანტი იცავს სადოქტორო კოლოკვიუმის ფარგლებში დარგობრივი კომისიის წინაშე სწავლების პირველი წლის ბოლოს.

ასისტირება (მაქსიმუმ 12 კრედიტი) არის სადოქტორო პროგრამის ის კომპონენტი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. პროგრამით გათვალისწინებულია როგორც სწავლების, ასევე კვლევის ასისტირება (იხ. ასისტირების კონცეფცია). სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას, დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიური კურსის კომპონენტს და ატარებს სალექციო/სასემინარო კურსს ან უწევს ტუტორობას. კვლევის ასისტირების დროს დოქტორანტი შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უწევს კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას ან რეცენზირებას.

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს შესაბამის სფეროში გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ **ორი სამეცნიერო სტატიისა,** მათ შორის მინიმუმ ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics (ყოფილი Thomson Reuters) Master Journal List, Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue). სამეცნიერო პუბლიკაციაში დოქტორანტის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული პუბლიკაციისადმი მოთხოვნები იხ. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

კვლევის ეთიკის ნორმების დაცვის მიზნით, დოქტორანტმა, მას შემდეგ რაც დაიცავს კვლევის გეგმას (პროსპექტუსს), თავისი კვლევის შესახებ ინფორმაცია (საკვლევი საკითხი და პრობლემა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა, დეტალური მეთოდოლოგია, მათ შორის მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტი, მონაცემების მოპოვების გზები და სხვ) უნდა გადაუგზავნოს ეთიკის კომისიას. დოქტორანტი კვლევის განხორციელებას იწყებს მხოლოდ ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში (იხ. დოკუმენტი „კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისიის"„კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისია").

სადოქტორო პროგრამა სრულდება **სადოქტორო ნაშრომის** წარდგენით და მისი საჯარო დაცვით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სადისერტაციო საბჭოს წინაშე. სადოქტორო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა ითვალისწინებს 3-5 წელს. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ასრულებს პროგრამის მოთხოვნებს 5 წლის დასრულების შემდეგ, მას უფორმდება დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულება შესაბამისი პირობების გათვალისწინებით.

პროგრამის კურსების/კომპონენტების ჩამონათვალი						
კომპონენტის დასახელება	წინაპირობა	ლექტორი	საკონტაქტო საათები	კრედიტი	სემესტრი გაზ/შემ	
სადოქტორო კოლოკვიუმი		დოქტორანტის ხელმძღვანელი/ები	ინდივიდუალური	-	**x**	**x**
პროსპექტუსი						x
პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ 2 ტრენინგ კურსი		ტრენინგ კურსის შესაბამისი ტუტორი			x	x
Writing for Academic Publication		მაია როგავა	18	6		**x**
სოციალური მუშაობის თანამედროვე კვლევები და თეორიები		შორენა საძაგლიშვილი ია შეყრილაძე	32	6	**x**	
სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები		შორენა საძაგლიშვილი ლევან თარხნიშვილი	32	6		**x**
სტატისტიკური მოდელირება	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები	მამუკა ნადარეიშვილი	32	6	**x**	**x**
თვისებრივი კვლევის მეთოდები	სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები	ირმა კირთაძე	32	6	**x**	**x**
კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში		სოფიკო ლობჟანიძე	32	6	**x**	**x**
სადოქტორო საფეხურის სხვა რელევანტური კურსი ან ასისტირება		შესაბამისი კურსის ხელმძღვანელი		12		
ასისტირება	პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრის	ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პროფესორები/სოფიკო ლობჟანიძე	ინდივიდუალური	12	**x**	**x**

	(PPDC) მიერ ორგანიზებული ტრენინგ კურსები ან კურიკულუმის განვითარება და სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები უმაღლეს განათლებაში					
სადოქტორო ნაშრომი					x	x

პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული/საერთაშორიო აკადემიური პერსონალი			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	ელექტრონული ფოსტა
აკადემიური პერსონალი			
1.	შორენა სამაგლიშვილი	პროფესორი	shorena_sadzaglishvili@iliauni.edu.ge
2.	ქეთევან მაყაშვილი	პროფესორი	ketevan_makashvili@iliauni.edu.ge
3.	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
4.	სოფიკო ლობჟანიძე	პროფესორი	sopiko_lobjanidze@iliauni.edu.ge
5.	ლევან თარხნიშვილი	ასოცირებული პროფესორი	levan.tarkhnishvili@iliauni.edu.ge
6.	მამუკა ნადარეიშვილი	პროფესორი	mamuka.nadareishvili@iliauni.edu.ge
7.	ირმა კირთაძე	ასოცირებული პროფესორი	irma.kirtadze@iliauni.edu.ge
8.	დარეჯან ჯავახიშვილი	პროფესორი	darejan.javakhishvili.1@iliauni.edu.ge
9.	ია შეყრილაძე	ასოცირებული პროფესორი	ia.shekriladze.1@iliauni.edu.ge
სერთაშორისო ექსპერტები/თანახელმძღვანელები			
1.	ალიდა ბურის	ასოც.პროფესორი	abouris@uchicago.edu
2.	ჯეიმს დეკერ	პროფესორი	jdecker@csun.edu
3.	თინა-რუსუდან კილაბერია	ასისტენტ-პროფესორი	kilab002@umn.edu